მომსახურების პირობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს იურიდიულ შეთანხმებას შპს „სივრცე ახალგაზრდების განვითარებისთვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 400150778) და პროგრამებში (ღონისძიება, კურსი, შეხვედრა) მონაწილე პირებს შორის.

დოკუმენტში აღწერილია ის პირობები, რომელთა დაცვითაც ხორციელდება „სივრცის“ მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო და განვითარების პროცესებში მონაწილეობა. დოკუმენტის გაცნობა და პროგრამაში მონაწილეობა ნიშნავს მასში მოცემულ პირობებზე სრულ და ინფორმირებულ თანხმობას.

1. მომსახურების ხასიათი

„სივრცე“ წარმოადგენს არაფორმალური განათლებისა და განვითარების გარემოს, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების კრიტიკული აზროვნების, პასუხისმგებლობისა და პრაქტიკული ჩართულობის მხარდაჭერას.

„სივრცე“ არ წარმოადგენს აკადემიურ სასწავლო დაწესებულებას და არ გასცემს ოფიციალურ დიპლომებს ან სერტიფიკატებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ცალკე არის განსაზღვრული.

2. რეგისტრაცია და მონაწილეობა

რეგისტრაცია პროგრამებში ხორციელდება გარე პლატფორმების (მაგალითად Google Forms-ისა და Facebook-ის) მეშვეობით. ვებგვერდი წარმოადგენს ინფორმაციულ სივრცეს და არ უზრუნველყოფს რეგისტრაციას ან გადახდას.

პროგრამებში მონაწილეობა შესაძლებელია სრულწლოვანი პირებისთვის დამოუკიდებლად, ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში — მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე.

3. გადახდა, გაუქმება და თანხის დაბრუნება

გადახდა ხორციელდება საბანკო გადარიცხვით, ორგანიზატორის მიერ მითითებულ ანგარიშზე. კონკრეტული პროგრამის ღირებულება და გადახდის პირობები ცხადდება წინასწარ.

კურსის დაწყებამდე მონაწილეს უფლება აქვს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უარი თქვას მონაწილეობაზე და მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება. აღნიშნული მოთხოვნის გამოგზავნა შესაძლებელია ელექტრონულად “სივრცის”შემდეგ მისამართზე გამოგზავნით: info@youthspace.ge.

ასეთ შემთხვევაში თანხა ბრუნდება სრულად, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

კურსის დაწყების შემდეგ თანხის დაბრუნება აღარ ხდება. გამონაკლისი შემთხვევები (მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობა) განიხილება ინდივიდუალურად, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4. პასუხისმგებლობის ფარგლები

„სივრცე“ პასუხისმგებელია უსაფრთხო, პატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნაზე.

„სივრცე“ არ იღებს პასუხისმგებლობას მონაწილეთა მიერ მიღებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებსა და მათ შედეგად დამდგარ პირად, საგანმანათლებლო ან პროფესიულ შედეგებზე.

5. ქცევის პრინციპები

მონაწილეები ვალდებულნი არიან პატივი სცენ სხვა მონაწილეებს, მენტორებსა და სივრცის წესებს. „სივრცე“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს მონაწილის მონაწილეობა, თუ მისი ქცევა ეწინააღმდეგება უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს.

6. ინტელექტუალური საკუთრება

პროგრამების ფარგლებში შექმნილი მასალები და კონტენტი ეკუთვნის მათს ავტორებს. „სივრცე“ უფლებამოსილია გამოიყენოს საერთო პროცესის ფარგლებში შექმნილი არაპერსონალური მასალა საგანმანათლებლო ან საინფორმაციო მიზნებისთვის, მონაწილეთა იდენტიფიცირების გარეშე.

7. წესების ცვლილება და მოქმედი სამართალი

„სივრცე“ იტოვებს უფლებას დროთა განმავლობაში განაახლოს წინამდებარე პირობები. განახლებული ვერსია გამოქვეყნდება ვებგვერდზე.

წინამდებარე პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. კონტაქტი

დოკუმენტთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელფოსტით: info@youthspace.ge